საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3355
12/07/2022

3355-21-2-202207121734

შპს „ბარაქას“
მის: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოდბე
ელ-ფოსტა: Baraka.kakheti@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2429 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც №21/1877 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ: 56.10.70.089) წარმოადგენდა მერაბ ხარაბაძის საკუთრებას, რომელიც მიმდინარე წლის 10 მაისს, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცა ბესიკ ხარაბაძეს. სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ ურთიერთშეთანხმების დოკუმენტის მხარედ კვლავ მითითებულია ყოფილი მესაკუთრე - მერაბ ხარაბაძე. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ამჟამინდელ მესაკუთრესთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიის ფართობი (ს/კ: 56.10.70.090 და ს/კ: 56.10.70.089) შეადგენს 155 ჰა-ს. დაზუსტებას საჭიროებს რა ფართობზეა დაგეგმილი სამელიორაციო სისტემის მოწყობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია, მდ. იორზე, წყალაღების კვეთში არსებული წყალმოსარგებლ(ებ)ის თაობაზე, ასევე, განხილული უნდა იყოს წყალაღების კვეთში არსებული ჰიდროლოგიური რეჟიმი, მათ შორის, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მინიმალური ხარჯების თაობაზე;
- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: კერძოდ, „დაგეგმილი საქმიანობის ზოგად ტექნიკურ მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დღე-ღამეში 1080 $მ^3$ წყლის მოხმარება, მაქსიმუმ 150 დღის განმავლობაში, 2.2 თავში აღნიშნულია, რომ ერთ ძირ ნერგს საშუალოდ ესაჭიროება 50-60 ლიტრი წყალი, რაც წლიურად შეადგენს 30000-40000 $მ^3$-ს, ხოლო თვეების მიხედვით გამოყენებული წყლის რაოდენობის შესახებ ცხრილში მითითებულია, რომ ჯამურად (მაისი-სექტემბერი)

მოხმარებული წყლის რაოდენობა იქნება 50000 $მ^3$. აღნიშნული ინფორმაციები ერთმანეთთან შეუსაბამოა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ასაღები წყლის მოცულობა (თვეების მიხედვით);

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებში“ აღნიშნულია, რომ „პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის წყალშემკრები ნაგებობის მოწყობას“, ხოლო 2.1 თავში მითითებულია, რომ მდინარიდან აღებული წყალი, ტუმბოს საშუალებით, მიეწოდება შემკრებ რეზერვუარს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია რეზერვუარის მოწყობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წვეთოვანი სისტემისთვის წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა (მარტივი სენდვიჩ-პანელის ტიპის კონტეინერი და ტუმბო საფილტრაციო სისტემით), ხოლო სიტუაციურ სქემაზე №1 წარმოდგენილია ორი სატუმბი სადგური. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტუმბოების რაოდენობა და წარმადობა;
- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „დაგეგმილი საქმიანობის აღწერაში“ მითითებულია, რომ მაგისტრალური მილსადენის სიგრძე, რომელიც გამოყენებული იქნება გამანაწილებელი სატუმბი სადგურიდან ნუშის და ზეთისხილის ბაღებამდე წყლის მისაყვანად, იქნება 4,290 მეტრი. ამავე თავში აღნიშნულია, რომ მილსადენის ტრასის სიგრძე შეადგენს 130 მეტრს. ხოლო „მილსადენის და ელექტროსადენის განთავსების დერეფნის“ თავში მითითებულია, რომ მილსადენის სრული სიგრძე შეადგენს დაახლოებით 1031 მეტრს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს მილსადენის სრული სიგრძე (წყალაღების წერტილიდან სატუმბ სადგურამდე და სატუმბი სადგურიდან გამანაწილებელ სისტემამდე) და დიამეტრი. ამასთან, „დაგეგმილი საქმიანობის აღწერაში“ აღნიშნულია, რომ მაგისტრალური მილსადენი, ელექტროსადენთან ერთად განთავსდება გრუნტში, თუმცა, ამავე თავში მითითებულია, რომ მაგისტრალური მილსადენები განთავსდება მიწის ზედაპირზე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მილსადენის მიწისქვეშ/მიწის ზედაპირზე განთავსების საკითხი;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს აღწერა და სიტუაციური რუკა, სადაც დატანილი იქნება წყალაღების წერტილი და საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფანი;
- 1.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „წინამდებარე სკოპინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად“. აღნიშნული ჩანაწერები საჭიროებს კორექტირებას და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციების ნაწილი გადმოტანილია შპს „ქისთოუნ აგროს“ მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორიაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სააგენტოში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებიდან (მათ შორის, სურათი #1. PVC მილები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო